სამნი ამხანაგნი

სამნი ამხანაგნი შეიყარნენ: ერთი ისპაანელი, ერთი გილანელი და ერთი განჯელი. ერთმანერთს თავიანთი თემი უქეს.

ისპაანელმან კაცმან თქვა:

– ჩემი თემი ისეთია: ძველი და ახალი ნესვი ერთად დასდეა, ვერა სცნობ, რომელი წლეულია და რომელი შარშანდვლი.

გილანელმან თქვა:

– ჩემი თემი ესეთია: ცოცხალი კაცი და მკვდარი ერთს საგებელში დააწვინო, თუ ცოცხალსა ძინავს, ვერა სცნობ, რომელი მკვდარია და რომელი ცოცხალი.

განჯელმან თქვა:

– ჩემი თემი ესეთია, რა კაცი მოკვდება, ექვს თვე ფეხზე ვალს და მეშვიდეს თვეს სამარედ ჩავალს, გაზაფხულ ცხელებას დაუწყებს და შემოდგომაზე მოკვდება.

არც ერთის თემი ვარგიყო, მაგრამ მათ მოსწონდათ

– ეგ შენი ლეონც დია ავი კაცია, მაგრამ მისი ავი და კარგი, ორივ კარგა გიჩნს, რასათვის მას არ მაუბნებ და შენ მეუბნები?

ჯუმბერ უთხრა:

– შენ რომ ასონი დაგკვეთეს, რასათვის ულვაში და წვერი გაგცვივდა და მის გარშემო არა?

უთხრა რუქამ:

– ლეონ მხიბლავია და შეუგრძნებიხარ.

თქვა ჯუმბერ არაკი: